გეომედი ლაიფი Geomedi Life

№3(4) 2021 წელი უნივერსიტეტ გეომედის ყოველკვარტალური გაზეთი

უნივერსიტეტ გეომედში, კურსდამთავრებულთა კიდევ ერთი, საზეიმო გაცილების ცერემონიალი გაიმართა. ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მარინა ფირცხალავამ. მან გზა დაულოცა ცხოვრების ახალ საფეხურზე გადასულ სტუდენტებს და წარმატება უსურვა პირად და პროფესიულ საქმიანობაში. უნივერსიტეტის დამთავრება, საზეიმო მანტიებში გამოწყობილ კურსდამთავრებულებს მიულოცეს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, ფაკულტეტების დეკანებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა. ღონისძიებაზე სტუდენტები დაჯილდოვდნენ სამახსოვრო სიგელებით. საზოგადოებას სიტყვით მიმართეს, ასევე კურსდამთავრებულებმაც. მათ მადლობა გადაუხადეს უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შექმნილი კარგი პირობებისათვის, რაც მათ დაეხმარათ ჩამოყალიბებულიყვნენ პიროვნებებად და პროფესიონალებად. შექმნილი საზეიმო გარემო ქუდების აყრით და სამახსოვრო ფოტოების გადაღებით დასრულდა. ღონისძიება ჩატარდა ღია ცის ქვეშ რეგულაციების დაცვით.

უნივერსიტეტში ყოფნის პირველი სემესტრი ყველასთვის განსხვავებულია. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი - განშორება სკოლისგან, მშობლებისგან. ცხოვრების ახალმა ეტაპმა ახალი ურთიერთობები, ახალი მეგობრები და ახალი გამოწვევები მოიტანა. ის გამოცდილება, რაც უნივერსიტეტში მივიღე არის პოზიტიური მომენტებისა და გამოწვევების ნაზავი, რომლის მოლოდინიც დასაწყისშივე მქონდა.

გეომედში სწავლა იყო იდეალური არჩევანი, რადგან უნივერსიტეტი აკმაყოფილებდა ყველა იმ მოთხოვნას, რაც მქონდა. აქ გავატარე 6 სასიამოვნო და საინტერესო წელი. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ლექტორები. საბედნიეროდ, თითოეული მათგანი იყო წარმოუდგენლად საინტერესო.

რა თქმა უნდა, იყო რთული მომენტებიც, მაგრამ ყველაფერი ცვალებადია. ლექტორების დახმარებით და დაუზარელი შრომით ყველაფერი მიიღწევა.

წარმატებებს ვუსურვებ თითოეულ სტუდენტს, ადმინისტრაციასა და ლექტორებს.

მინაქში გულიანი
მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

ძალიან მიხარია, რომ ვარ უნივერსიტეტ გეომედის კურსდამთავრებული. მინდა მადლობა გადავუხადო ამ არაჩვეულებრივ უნივერსიტეტს, რომელმაც მომცა საშუალება მეჩვენებინა ჩემი თავის საუკეთესო ვერსია. უნივერსიტეტმა შეგვიქმნა უსაფრთხო და ეფექტური სასწავლო გარემო. ლექტორებმა სახალისო გახადეს სასწავლო პროცესი. ვერასოდეს დავივიწყე მოგონებებს, რომლებიც მივიღე სხვადასხვა ლექციებისგან.

წარმატებებს ვუსურვებ უნივერსიტეტს საქმიანობაში და თითოეულ სტუდენტს მათი ცხოვრები ახალი საფეხურის წარმატებით დაძლევაში.

პრატიბჰა სინგჰალ
მედიცინის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

მე ვარ უნივერსიტეტ გეომედის სტომატოლოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებული.

მინდა აღვნიშნო, რომ უნივერსიტეტს დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს პიროვნულ განვითარებასა და პროფესიულ ჩამოყალიბებაში. ეს ხდებოდა საინტერესო და ინტერაქტიული ლექციებით, სემინარებით, კონფერენციების საშუალებით, რომელიც ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდება.

ყოველთვის ვგრძნობდით ლექტორებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების მეგობრულ დამოკიდებულებასა და გვერდში დგომას. კიდევ ერთხელ, დიდ მადლობას ვუხდი მათ. ვიმედოვნებ, რომ თქვენს იმედებს გავამართლებთ.

ნანუკა გაგნიძე
სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

2021 წლის 24 ივნისს უნივერსიტეტ გეომედში ჩატარდა სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკული ონლაინ კონფერენცია თემაზე: ,,მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები". კონფერენცია გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მარინა ფირცხალავამ. საინტერესო იყო სტუდენტების მიერ წარმოდგენილი მოხსენებები. ჟიურის მიერ გამოვლინდა შემდეგი გამარჯვებული სტუდენტები:

- **I ადგილი - ნანა გაგნიძე** (სტომატოლოგიის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი **ალექსანდრე ლეონიძე**)
- **II ადგილი - სვარალი ჩოდნეკარ** (მედიცინის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი **ზურაბ ცეცხლაძე**)
- **III ადგილი - თამარ კაჭკაჭიშვილი** (სტომატოლოგიის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი **მამანტი როგავა,**)
- **ჟიურის სიმპათია - ბარბარე ხომასურიძე** (მედიცინის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი **მაია ბარბაქაძე**)

კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ სერთიფიკატები, ხოლო ნაშრომები გამოქვეყნდება უნივერსიტეტ გეომედის კრებულის ,,სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციის მასალები"-ის მე-15 ნომერში. გამარჯვებულ სტუდენტებს დაენიშნათ სტიპენდიები და გახდნენ მე-3 საერთაშორისო სიმპოზიუმის ,,ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა 2021" დელეგატები, რომელიც გაიმართება 4-6 ოქტომბერს კაჭრეთში, ვილაში ,,კაჭრეთი ამბასადორი".

2021 წლის 25 ივნისს კი გაიმართა პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: ,,მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესორებმა და მოწვეულმა სპეციალისტებმა. კონფერენცია წარიმართა დისკუსიის რეჟიმში. მათ მიერ წარმოდგენილი ნაშრომები გამოქვეყნდება კონფერენციის მასალების კრებულში ,,მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები".

2021 წლის 29 ივლისს ონლაინ რეჟიმში გაიმართა უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტთა თვითმმართველობის არჩევნები. მასში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებმა:

- მედიცინის ფაკულტეტიდან: აბჰი შაჰი, შიფაზ აჰმედ, კოლლაპარამბილ სრეელაქშმი, ვინაი არია, ნიკო ქაძანაია, აკაკი კირჩხელი.
- ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტიდან: გენადი ბოჭოიძე, ეკატერინე ბუაძე.
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტიდან: ლოლა კალოიანი და ლინა ტაბაღუა;
- სტომატოლოგიის ფაკულტეტიდან: ნინო ტუღუში, აკაკი ბადრიძე, ელეონორა ორუჯოვა.

თავისუფალი კენჭისყრის შედეგად გაიმარჯვა და სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტი გახდა **ეკატერინე ბუაძე,** ხოლო ვიცე-პრეზიდენტი **ვინაი არია.**
ფაკულტეტის თვითმმართველობის თავმჯდომარის ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- მედიცინის ფაკულტეტი - აბჰი შაჰი;
- სტომატოლოგიის ფაკულტეტი - ნინო ტუღუში;
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი - ლინა ტაბაღუა;
- ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი - გენადი ბოჭოიძე.

უნივერსიტეტ გეომედის შემოქმედებითი გაერთიანება ,,გიმნასიონი"-ს დაარსება მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო ცხოვრების მრავალფეროვნებისათვის. ის ხელს შეუწყობს ქართველ და საერთაშორისო სტუდენტებს შორის მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას, სხვადასხვა ქვეყნების კულტურების გაცნობას და საქართველოს პოპულიზაციას.

გიმნასიონი ეხება კულტურათა შორის სიძველეთმცოდნეობას, მათ კავშირს თანამედროვე მეცნიერულ კვლევებთან, უახლეს აღმოჩენებსა და მეცნიერთა მიღწევებს.

გიმნასიონის მიზანია გააცნოს სტუდენტებსა და უნივერსიტეტის პერსონალს ის, რაც დროთა განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა მედიცინაში, გადაეცემოდა თაობიდან თაობებს და მათგან ბევრს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ამ მიზნის მისაღწევად გათვალისწინებულია მოხსენებათა ციკლი - მსოფლიოს უძველესი მედიცინის განვითარების ფაქტებისა და სხვადასხვა სახის საინტერესო კვლევების შესახებ. ღმერთმა იმიტომ მოგვანიჭა განსჯის უნარი, რომ ჩვენ ვიაზროვნოთ, შევისწავლოთ, მივაგნოთ და გავიგოთ მოვლენათა მიზეზი და არსი.

დღეისათვის უკვე წაკითხულია ოთხი მოხსენება:

მაია მირცხულავა - მედეას მედიცინა (ლეგენდები, ისტორიული ფაქტები, ძველი ხელნაწერები)
მაია მირცხულავა -კვლევები წყლის მოლეკულის სტრუქტურის შესახებ, მეტყველების გავლენა ადამიანის დნმ-ზე, იაპონელი მეცნიერის მასარუ ემოტოს კვლევები.
პაატა ჩიქოვანი -დავით აღმაშენებელი.
ვინაი არია - უნივერსიტეტ გეომედის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი - ,,აიურვედა-სოცოცხლის მეცნიერება".
მოხსენებებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პერსონალს შორის.



უნივერსიტეტ გეომედის ბიბლიოთეკა არსებობს უნივერსიტეტის დაარსების დღიდან. **ბიბლიოთეკის მისიაა** გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებით უწყვეტი საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობის გაძლიერება სტუდენტთა ინტელექტუალური, წიგნიერი და პროფესიული განვითარებისათვის. ის წარმოადგენს სტრუქტურულ ერთეულს, რომლის ძირითადი ფუნქციაა წიგნადი და ციფრული ფონდების ორგანიზაცია/გამოყენება და თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით მომხმარებელთა საბიბლიოთეკო-საინფორმაციო მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება. ბიბლიოთეკის წიგნად და ციფრულ ფონდებში დაცულია უნივერსიტეტში არსებული სპეციალობებისთვის საჭირო სასწავლო, სამეცნიერო და დამხმარე ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები. ხელმისაწვდომია საერთაშორისო ციფრული ბაზები, როგორიცაა: EBSCO-ს 12 და Elsevier-ის 3 მიმართულების ბაზები, ასევე, სილაბუსების შესაბამისი ელწიგნების ბაზა. ელექტრონულ ბაზებსა და წიგნების ელექტრონულ კატალოგზე წვდომა შესაძლებელია, როგორც ბიბლიოთეკაში, ასევე ბიბლიოთეკის გარე სივრციდან. ჯამში ბიბლიოთეკის ფონდები მოიცავს 17 4012 ბეჭდურ და 3083 ციფრულ რესურსს. ბიბლიოთეკა ემსახურება სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.

ბიბლიოთეკა მოიცავს შემდეგ სივრცეებს: სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული რესურსცენტრი, საცავი, საკონსულტაციო ოთახი და ასლგადამღები უბანი. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის ძიება შესაძლებელია როგორც ელექტრონული, ისე ხელნაწერი საკატალოგე სისტემების მეშვეობით. ბიბლიოთეკის რესურსები მუდმივად განახლებადია - მოქმედებს მომხმარებელთა მიერ ბიბლიოთეკის არარსებული რესურსის მოთხოვნის რეესტრი, რომლის შესაბამისადაც ივსება ბიბლიოთეკის ბეჭდური და ციფრული ფონდები.

დღესდღეობით არსებული პანდემიის პირობებში (COVID 19) ბიბლიოთეკა მუშაობს რეკომენდაციების დაცვით. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის უნივერსიტეტმა და ბიბლიოთეკამ უზრუნველყო წიგნადი ფონდის ელექტრონული ვერსიების ხელმისაწვდომობა, რაც გულისხმობს შეუზღუდავ ღია წვდომას სტუდენტებისა და ლექტორებისთვის დისტანციურად.

ახალ სასწავლო წელს ბიბლიოთეკა სათანადოდ მომზადებული ხვდება. მიღებულია ახალი როგორც ქართული, ასევე ინგლისურ ენოვანი წიგნები და ელექტრონული რესურსები.

გაურავ ბჰატიმ, ჩვენი უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოსცა ხუთი ინგლისურ ენოვანი და სამი ქართული წიგნი, რომლებიც ხშირ ხმარებაშია. ის ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი იყო და თავისი მადლიერება ამ ლამაზი ჟესტით გამოხატა. მადლობა მას ამ ღირსეული საქციელისთვის.

ბიბლიოთეკის თანამშრომლები

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინება (მარიამობა)

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინება აღინიშნება 28 აგვისტოს. ამ დღეს იხსენებენ ღვთისმშობლის გარდაცვალებას (მიძინებას), აღდგომასა და განდიდებას, უფლის მიერ მის „აღყვანებას“ ზეციურ სასუფეველში, მის სულიერ და ფიზიკურ სისავსეში მყოფობას. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე თორმეტთაგან ერთ-ერთი საუფლო დღესასწაულია. ბევრ ეკლესიაში არსებობს ღვთისმშობლის მიძინების დღეს ყვავილების კურთხევის ჩვეულება.

ტროპარი: ,,შობასა ქალწულებაჲ დაიმარხე და მიცვალებასა სოფელი არა დაუტევე, ღმრთის მშობელო, მიხუედ ცხორებად დედა ეგე ცხორებისაჲ, და აწ მეოხებითა შენითა იხსნი სიკუდილისაგან სულთა ჩუენთა“.